ბრძანება:**ბ36.362208838**

თარიღი:**29/03/2022**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

2. განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

ა) ნიკა ბოლქვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ტარიელ აროშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ჯგუფის წევრი;

გ) თემურ გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

დ) თემურ მურვანიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის, კომუნალური სერვისების განვითარების განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;

ე) ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

ვ) ნინო ბახტაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი;

3. სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ჯგუფის ხელმძღვანელი (ნ.ბოლქვაძე) უზრუნველყოფს - პროცესის საერთო ხელმძღვანელობას და ანგარიშგებას მერთან;

ბ) ჯგუფის წევრი (ტ.აროშიძე) უზრუნველყოფს - საკრებულოს წევრებთან ურთიერთობას, მათ ინფორმირებას და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვას პროგრამის განხორციელების პროცესში;

გ) ჯგუფის წევრი (თ. გიორგაძე) უზრუნველყოფს - საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირებას, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებას, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირებას დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვას და მერისათვის წინადადებების მომზადებას, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადებას;

დ) ჯგუფის წევრი (თ. მურვანიძე) უზრუნველყოფს - საერთო კრებების/მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარების პროცესში ოქმების წარმოებას/შედგენას;

ე) ჯგუფის წევრი (ლ.თავაძე) უზრუნველყოფს - მერის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, საერთო კრებების/მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერას;

ვ) ჯგუფის წევრი (ნ.ბახტაძე) უზრუნველყოფს - მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას, მოსახლეობის ინფორმირებას მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერას საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის.

4. სამუშაო ჯგუფის წევრები მსჯელობენ და განსაზღვრავენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრებების სხდომებისა და კონსულტაციების ჩატარების, დასახლებებისათვის საორიენტაციოდ გამოყოფილი თანხების ოდენობების, მათი ეფექტურად გამოყენების გზებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

5. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

6. სამუშაო ჯგუფი ანგარიშვალდებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

8. ბრძანება ძალაშია მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ავთანდილ თალაკვაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი